საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობის რიცხოვნობა

2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

24.04.2026
www.geostat.ge

24.04.2026

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით[1]

2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 941.1 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან[2] შედარებით 0.3 პროცენტით მეტია. აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშება ეფუძნება 2024 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებს, ასევე 2025 წლის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მაჩვენებლებს.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს დაფიქსირდა უარყოფითი ბუნებრივი მატება (-6 452) და დადებითი მიგრაციული სალდო (17 127).

2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის 62.7 პროცენტი ცხოვრობს საქალაქო დასახლებებში. ამასთან, ქ. თბილისის მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის მესამედზე მეტს შეადგენს.

მოსახლეობის რიცხოვნობა 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
რეგიონების და დასახლების ტიპის მიხედვით,
(ათასი)

რეგიონი	სულ	მათ შორის:	
		საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება
საქართველო	**3 941.1**	**2 472.5**	**1 468.6**
ქ. თბილისი	1 369.4	1 309	60.3
აჭარის ა.რ.	413.2	279.9	133.3
გურია	101.6	31.7	69.8
იმერეთი	492.5	264	228.5
კახეთი	300	70.7	229.3
მცხეთა-მთიანეთი	93.2	22.3	70.9
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	29.5	7.2	22.3
სამეგრელო-ზემო სვანეთი	297.8	131.9	165.9
სამცხე-ჯავახეთი	155.5	58.8	96.7
ქვემო ქართლი	440.1	192.8	247.3
შიდა ქართლი	248.4	104.2	144.2

შენიშვნა: შესაძლო მცირე განსხვავება, საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის, აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

[1] მონაცემები არ მოიცავს ოკუპირებულ ტერიტორიებს.

[2] 2024 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების საფუძველზე გადაანგარიშდა 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოსახლეობის რიცხოვნობა და მასთან დაკავშირებული მონაცემები.

24.04.2026

მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობა

2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 0-14 წლის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 19.0 პროცენტს შეადგენს, შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის წილი (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) – 62.9 პროცენტს, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი – 18.1 პროცენტს.

დიაგრამა №1

მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი პირამიდა
2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით,
(ათასი)



2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კაცების რიცხოვნობამ 1 887.6 ათასი შეადგინა, ხოლო ქალების რიცხოვნობამ – 2 053.5 ათასი. ამასთან, საქართველოს მოსახლეობის 48 პროცენტი კაცი, ხოლო 52 პროცენტი – ქალია.

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი 92-ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ 100 ქალზე 92 კაცი მოდის. აღსანიშნავია, რომ 50 წლამდე ასაკში კაცების რიცხოვნობა აღემატება ქალების რიცხოვნობას, ხოლო 50 წლის ასაკიდან სახეზე გვაქვს საპირისპირო სურათი, რაც გამოწვეულია კაცებთან შედარებით ქალების უფრო მაღალი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით.

დიაგრამა №2

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით



2025 წელს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობამ შეადგინა 76.0 წელი, მათ შორის კაცებისათვის – 71.4 წელი, ხოლო ქალებისათვის – 80.6 წელი.

დიაგრამა №3

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას სქესის მიხედვით,
(წელი)



2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკი შეადგენს 38 წელს.

24.04.2026

მიგრაცია

2025 წელს, ემიგრანტების რიცხოვნობამ 114 374 კაცი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 5.8 პროცენტით ნაკლებია, ხოლო იმიგრანტების რიცხოვნობა 3.2 პროცენტით შემცირდა და 131 501 კაცი შეადგინა.

ამავე პერიოდში, იმიგრანტების, ისევე, როგორც ემიგრანტების 85.9 პროცენტი, შრომისუნარიან ასაკში მყოფ მოსახლეობას (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წარმოადგენენ.

დიაგრამა №4

იმიგრანტების და ემიგრანტების რიცხოვნობა
2025 წელს ძირითადი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით,
(კაცი)



2025 წელს, იმიგრანტების 47.2 პროცენტს, ხოლო ემიგრანტების 51.4 პროცენტს საქართველოს მოქალაქეები წარმოადგენენ.

იმიგრანტების და ემიგრანტების რიცხოვნობა
2025 წელს მოქალაქეობის მიხედვით,
(კაცი)

მოქალაქეობის ქვეყანა	იმიგრანტი	ემიგრანტი
სულ	**131 501**	**114 374**
საქართველო	62 073	58 799
რუსეთის ფედერაცია	20 139	19 226
უკრაინა	6 937	3 658
ინდოეთი	5 685	4 456
თურქეთი	5 341	3 328
აზერბაიჯანი	5 574	2 547
სხვა ქვეყნის მოქალაქე	25 712	22 329
მოქალაქეობის გარეშე / არ არის მითითებული	40	31

საკონტაქტო პირები:
ალექსანდრე არაბული, ტელ.: 2 36 72 10 (200); E-mail: aarabuli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge